საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1/518

ქ. თელავი „18" „08" 2017 წ.

2017-2018 სასწავლო წლისათვის მაგისტრატურაში სტუდენტთა მიღების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" და „თ" ქვეპუნქტების, მე–2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანების „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, „თესაუს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის წესის განსაზღვრის შესახებ" უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 17 აგვისტოს N1/239 ბრძანების, უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანების სამსახურებრივი ბარათებისა (განათლებაის მეცნიერებათა ფაკულტეტი (18/08/2017წ; N957141), ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (18/08/2017წ; N958405), ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი (18/08/2017წ. N958780), სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი (18/08/2017წ; N957248) და აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (18/08/2017წ; N958936)) და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შალვა ჭკადუას სამსახურებრივი ბარათის (18/08/2017 წ. N959414) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღება განხორციელდეს შემდეგ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები

1. ბიოლოგია - 10 ადგილი
2. ეკოლოგია - 15 ადგილი
3. მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია - 10 ადგილი
4. ფუნქციათა თეორია და ფუნქციონალური ანალიზი - 5 ადგილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები

1.ტიპოლოგიური ლინგვისტიკა და მთარგმნელობითი საქმე (ქართულ-ინგლისური, ინგლისურ-ქართული; ქართულ-რუსული, რუსულ- ქართული; ქართულ- გერმანული, გერმანულ- ქართული) 15 ადგილი;
2. ახალი და უახლესი ისტორია - 10 ადგილი.

განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები

საგნის სწავლების მეთოდიკა - 30 ადგილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები

1. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა-20 ადგილი;
2. ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა-20 ადგილი

აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები

1. სამაგისტრო პროგრამა - აგროეკოლოგია - 5 ადგილი;
2. სამაგისტრო პროგრამა - კვების პროდუქტების ტექნოლოგიები (სასმელების ტექნოლოგია, სურსათის უვნებლობა) – 20 ადგილი.

2. საბუთების მიღება იწარმოებს 2017 წლის 21 აგვისტოდან 2017 წლის 14 სექტემბრის 15:00 სთ-ის ჩათვლით საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამის ფაკულტეტებზე (საბუთების შემოწმების შემდეგ განცხადებები, დანართებთან ერთად, გადაიგზავნება უნივერსიტეტის კანცელარიაში);
3. მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს განცხადება რექტორის სახელზე (იხ. ბრძანების დანართი 1) შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

ა) მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;
ბ) ორი ფერადი ფოტოსურათი (3x4);
გ) ბაკალავრის დიპლომი დანართითურთ /ცნობა კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ და მათი შესაბამისი ასლები;
დ) სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სავალდებულო ვაჟებისათვის);
ე) საერთო სამაგისტრო გამოცდის სერთიფიკატი;
ვ) მაგისტრატურაში მისაღებ კონკურსში მონაწილეობისათვის საორგანიზაციო გადასახადის - 50 (ლარის) ქვითარი;

4. მაგისტრატურის ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდა ჩატარდეს 2017 წლის 19 სექტემბერს. პროგრამაზე ჩარიცხვა განხორციელდება, იმ შემთხვევაში, თუ მისაღები გამოცდების შედეგების გათვალისწინებით, დადებით შეფასებას იმსახურებს 2 ან მეტი მაგისტრანტობის კანდიდატი;
5. გამოცდების შედეგების გამოცხადების და შედეგების გასაჩივრების ვადად განისაზღვროს 2017 წლის 20 სექტემბერი;
6. მაგისტრანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულებები გაფორმდეს 2017 წლის 20-21 სექტემბერს;
7. დაევალოთ ფაკულტეტის დეკანებს:
   ა. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
   ბ. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად 2017 წლის 22 აგვისტოს ჩათვლით უზრუნველყონ სპეციალობის საგამოცდო საკითხების ვებ–გვერდზე განთავსება;
   გ. სპეციალობაში საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიების შექმნაზე წარდგინების წარმოდგენა 2017 წლის 8 სექტემბრის ჩათვლით;
   დ. მისაღებ გამოცდაზე დაშვების შესახებ წარდგინებების წარმოდგენა 2017 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით;
   ე. მაგისტრატურაში ჩარიცხვის შესახებ წარდგინებების წარმოდგენა 2017 წლის 22 სექტემბრის 12 საათის ჩათვლით;
   ვ. დაევალოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარმოადგინოს სამაგისტრო პროგრამებზე ჩასარიცხ სტუდენტთა შესახებ ინფორმაცია 2017 წლის 22 სექტემბერს.
8. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს;
9. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
10. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურს;
11. ბრძანების ასლი განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

უნივერსიტეტის რექტორი: **/ირმა შიოშვილი/**

დანართი 1

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს

_____

(უმაღლესი სასწავლებლის დასახელება)

კურსდამთავრებულის ----------

(სახელი და გვარი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ ---- დავამთავრე ----------

(წელი)

(უმაღლესი სასწავლებლის დასახელება,ფაკულტეტი, სპეციალობა)

რის საფუძველზეც მომენიჭა ----------

(მიანიშნეთ დიპლომის მიხედვით აკადემიური ხარისხი ან კვალიფიკაცია)

სურვილი მაქვს მონაწილეობა მივიღო თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ მაგისტრატურის მისაღებ კონკურსში ----------

---მიმართულებით.

(მიანიშნეთ პროგრამის დასახელება, სადაც აპირებთ სწავლის გაგრძელებას)

გთხოვთ დამიშვათ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად

განმცხადებელი : ---------

(ხელმოწერა)

თარიღი ----------

(რიცხვი, თვე, წელი)

ჩემი მისამართია ----------

(მიანიშნეთ ზუსტი მისამართი)

საკონტაქტო ტელეფონი ---------